

**დამტკიცებულია**

შპს „საქართველოს გაერთიანებული  
წყალმომარაგების კომპანია“

" \_\_\_\_ " \_\_\_\_\_ 2026 წ.

**შეთანხმებულია**

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს  
გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტი

" \_\_\_\_ " \_\_\_\_\_ 2026 წ.



**შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“**

ქ. ბაღდათის საკანალიზაციო ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის  
ექსპლუატაცია

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის  
ნორმების პროექტი

თბილისი

2026

## **ანოტაცია**

„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმები დგინდება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების, გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული საქმიანობის ყველა სტაციონარული წყაროსთვის (ობიექტისთვის).

ზდგ ნორმების მოცემულ პროექტში დეტალურადაა განხილული ქ. ბაღდათის საკანალიზაციო ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის ფარგლებში სამშენებლო ბანაკის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები და ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები.

დოკუმენტი შემუშავებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“, „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონების და მათგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე, საწარმოს განვითარების პერსპექტივის, ადგილის ფიზიკურ-გეოგრაფიული და კლიმატური პირობების, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის პარამეტრთა და გაბნევის ანგარიშის გათვალისწინებით, დაბინძურების თითოეული წყაროსა და თითოეული მავნე ნივთიერებისთვის გაანგარიშებულია ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების მნიშვნელობები.

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის გამოყენებით, ზდგ მნიშვნელობები განსაზღვრულია იმ პირობით, რომ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციები ატმოსფერული ჰაერის მიწისპირა ფენაში არ აღემატებოდეს შესაბამისი მავნე ნივთიერებებისთვის დადგენილ კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვებ მაჩვენებლებს.

ზდგ ნორმები დგინდება 5 წლის ვადით დაბინძურების სტაციონარული წყაროების მაქსიმალური შესაძლო სიმძლავრით დატვირთვის პირობებისთვის.

## სარჩევი

ძირითად ტერმინთა განმარტებები .....	4
1. ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ .....	5
2. საწარმოს განლაგების რაიონის კლიმატური დახასიათება.....	7
3. ტექნოლოგიური პროცესის აღწერა.....	8
3.1 გამწმენდი ნაგებობის საპროექტო კრიტერიუმები .....	8
3.2. საპროექტო პარამეტრები და ტექნოლოგიური პროცესი .....	9
3.2.1. უხეში (პირველადი) სკრინინგი .....	10
3.2.2. შემშვები სატუმბი სადგური .....	10
3.2.3. წმინდა ცხაურის სისტემა (მეორადი სკრინინგი) და გამანაწილებელი საკანი .....	10
3.2.4. ბიოლოგიური გამწმენდი დანადგარები, აერაციის ავზები.....	12
3.2.5. საბოლოო სალექარი ავზი .....	13
3.2.6. დიფუზორების უჯრედები და საბერველების სადგური.....	13
3.2.7. დაბრუნებული/ჭარბი აქტივირებული ლამი და ნარჩენების სატუმბო სადგური.....	14
3.2.8. ლამის დამუშავების პროცესი და ერთეულების აღწერა .....	14
3.2.9. გაწმენდილი წყლის გაზომვის სისტემა.....	15
3.2.10. სუნის კონტროლი ბიო-ფილტრებით .....	15
3.3. მშენებლობის ორგანიზება .....	16
5. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში .....	18
6. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროების პარამეტრები .....	23
ცხრილი 6.1. მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროების დახასიათება.....	23
ცხრილი 6.2. მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების დახასიათება.....	26
ცხრილი 6.3. აირმტვერდამჭერი მოწყობილობების დახასიათება.....	29
ცხრილი 6.4. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა, მათი გაწმენდა და უტილიზება, ტ/წელი .....	30
7. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაზნევის ანგარიში.....	31
7.1. გაზნევის ანგარიშის გრაფიკული ნაწილი .....	33
8. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები .....	45
9. გამოყენებული ლიტერატურა.....	48
დანართი 1. ობიექტის გენ-გეგმა გაფრქვევის წყაროების ჩვენებით .....	49
დანართი 2. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაზნევის ანგარიშის მონაცემები .....	50

## **ძირითად ტერმინთა განმარტებები**

- ა) „ატმოსფერული ჰაერი“ - ატმოსფერული გარსის ჰაერი, შენობა-ნაგებობებში არსებული ჰაერის გარდა;
- ბ) „მაკნე ნივთიერება“ - ადამიანის საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც ახდენს ან რომელმაც შეიძლება მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობასა და ბუნებრივ გარემოზე;
- გ) „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება“ - ატმოსფერული ჰაერის შემადგენლობის ცვლილება მასში მაკნე ნივთიერებათა არსებობის შედეგად;
- დ) „ატმოსფერულ ჰაერში მაკნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის ნორმა“ - ატმოსფერულ ჰაერში მაკნე ნივთიერებათა მაქსიმალური კონცენტრაცია დროის გარკვეული გასაშუალოებული პერიოდისათვის, რომელიც პერიოდული ზემოქმედებისას ან ადამიანის მთელი ცხოვრების მანძილზე არ ახდენს მასზე და საერთოდ გარემოზე მაკნე ზემოქმედებას;
- ე) „ატმოსფერულ ჰაერში მაკნე ნივთიერებათა საშუალო სადღეღამისო ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია“ - ატმოსფერულ ჰაერში მაკნე ნივთიერებათა კონცენტრაცია, რომელიც განსაზღვრულია დღე-ღამის განმავლობაში აღებული სინჯების კონცენტრაციათა მნიშვნელობების გასაშუალოებით;
- ვ) „ატმოსფერულ ჰაერში მაკნე ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია“ - ატმოსფერულ ჰაერში მაკნე ნივთიერებათა მაქსიმალური კონცენტრაცია, რომელიც განსაზღვრულია 20-30 წუთიან დროის ინტერვალში ერთჯერადად აღებული სინჯების კონცენტრაციათა მნიშვნელობების მიხედვით;
- ზ) „ატმოსფერულ ჰაერში მაკნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმა“ - ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროდან მაკნე ნივთიერებათა გაფრქვევის დადგენილი რაოდენობა, გაანგარიშებული იმ პირობით, რომ დაბინძურების ამ წყაროსა და სხვა წყაროების ერთობლიობიდან გაფრქვეულ მაკნე ნივთიერებათა კონცენტრაცია ატმოსფერული ჰაერის მიწისპირა ფენაში არ აღემატებოდეს ამ წყაროს ზეგავლენის ტერიტორიისთვის დადგენილ მაკნე ნივთიერებათა კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვებ ნორმებს,

## 1. ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ

საქმიანობის განხორციელების ადგილი მდებარეობს იმერეთის რეგიონში, ქ. ბაღდათის დასახლებული ზონის ჩრდილო-დასავლეთით, მდ. ხანისწყლის მარჯვენა სანაპიროზე. ქ. ვბაღდათი ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია. ფიზიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით მდებარეობს იმერეთის დაბლობზე.

გამწმენდი ნაგებობის მოწყობისთვის შერჩეულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკ. კოდი: 30.03.37.067, მისამართი: ბაღდათის მუნიციპალიტეტი, ვარციხე, ფართობი - 21755 მ<sup>2</sup>). ტერიტორიის მიახლოებითი კოორდინატებია: X – 315412; Y – 4667775. სიმაღლე - 112-113 მ ზ.დ.

გამოყოფილი ნაკვეთი სწორია და რელიეფის უარყოფითი ან დადებითი ფორმები არ აღინიშნება. ტერიტორია აგებულია მდინარის ალუვიური ნატანით და ტექნოგენური ფენით. ხე-მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის. ვრცელდება მხოლოდ მეორადი ბუჩქოვანი და ბალახოვანი სახეობები. ტერიტორიაზე წარმოდგენილია ძველი შენობა-ნაგებობები, რომელიც საბჭოთა კავშირის პერიოდში, სწორედ წყალგამწმენდი ნაგებობის მოწყობის მიზნით აშენდა.

უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს სამხრეთით, მდინარის მეორე ნაპირზე. დაშორება დაახლოებით 155 მ-ია. ნაკვეთის აღმოსავლეთით და სამხრეთით გაედინება მდ. ხანისწყალი. დასავლეთით ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებია. ჩრდილოეთით, ნაკვეთიდან დაახლოებით 150 მ მანძილის დაშორებით გადის აჯამეთის ალკვეთილის და ზურმუხტის ქსელის უბანი „აჯამეთის“ (კოდი:GE000018) საზღვარი.

ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ მოცემულია ცხრილში 1.1.

ცხრილი 1.1. ზოგადი მონაცემები საწარმოს შესახებ

ობიექტის დასახელება	შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“
ობიექტის მისამართი:	
ფაქტიური	ბაღდათის მუნიციპალიტეტი, ს. ვარციხე
იურიდიული	თბილისი, ვაკის რაიონი, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. №5
საიდენტიფიკაციო კოდი	412670097
GPS კოორდინატები	X – 315412; Y – 4667775
კომპანიის ხელმძღვანელი:	გიორგი შონია
გვარი, სახელი	ზურა ჩილინგარაშვილი
ტელეფონი	+995 597 917 925
ელ-ფოსტა	<a href="mailto:z.chilingarashvili@water.gov.ge">z.chilingarashvili@water.gov.ge</a>
მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე	155 მ - უახლოესი საცხოვრებელი სახლი 150 მ - აჯამეთის ალკვეთილი
ეკონომიკური საქმიანობის სახე	ფეკალური წყლების გამწმენდი ნაგებობა
გამომშვებული პროდუქციის სახეობა	—

საპროექტო წარმადობა	992 მ <sup>3</sup> /დღ
ნედლეულის სახეობა და ხარჯი	—
საწვავის სახეობა და ხარჯი (სატრანსპორტო საშუალებების მიერ გამოყენებულის გარდა)	—
სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში	365
სამუშაო საათების რაოდენობა დღე-ღამეში	24

გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის ხედები მოცემულია სურ. 1.1-1.2, ხოლო ობიექტის განთავსების სიტუაციური სქემა - სურ. 1.3.

სურ. 1.1-1.2. გამწმენდი ნაგებობის საპროექტო ტერიტორიის ხედები



სურ. 1.3. ობიექტის განთავსების სიტუაციური სქემა



## 2. საწარმოს განლაგების რაიონის კლიმატური დახასიათება

სამშენებლო კლიმატური დარაიონების მიხედვით ქ. ბაღდათი განეკუთვნება IIIბ ქვერაიონს [6].

ცხრილი 2.1. ჰაერის საშუალო ტემპერატურა

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	წლ
4,4	5,0	7,9	12,6	17,6	20,7	23,0	23,3	20,0	15,7	10,7	6,6	14,0

ცხრილი 2.2. ჰაერის ფარდობითი ტენიანობა (%)

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	წლ
66	66	68	68	71	74	79	78	77	71	66	62	70

ცხრილი 2.3. ნალექების რ-ბა წელიწადში (მმ) ნალექები დღე-ღამური მაქსიმუმი (მმ)

პუნქტის დასახელება	ნალექების რ-ბა წელიწადში (მმ)	ნალექები დღე-ღამური მაქსიმუმი (მმ)
ბაღდათი	1499	107

ცხრილი 2.4. პარამეტრები, რომლებიც განსაზღვრავს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის პირობებს

მეტეოროლოგიური მახასიათებლების და კოეფიციენტების დასახელება	მნიშვნელობები
ატმოსფეროს ტემპერატურული სტრატეფიკაციის კოეფიციენტი	200
ადგილის რელიეფის გავლენის ამსახველი კოეფიციენტი	1
წლის ყველაზე ცხელი თვის ჰაერის საშუალო მაქსიმალური ტემპერატურა, °C	29,0
წლის ყველაზე ცივი თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურა, °C	4,4
ქართა საშუალო წლიური თაიგული, %	
- ჩრდილოეთი	2
- ჩრდილო-აღმოსავლეთი	7
- აღმოსავლეთი	25
- სამხრეთ-აღმოსავლეთი	14
- სამხრეთი	16
- სამხრეთ-დასავლეთი	2
- დასავლეთი	29
- ჩრდილო-დასავლეთი	5
- შტილი	15
ქარის სიჩქარე (მრავალწლიური მონაცემების მიხედვით), რომლის გადამეტების განმეორებადობა შეადგენს 5%-ს, მ/წმ	8,8

### 3. ტექნოლოგიური პროცესის აღწერა

#### 3.1 გამწმენდი ნაგებობის საპროექტო კრიტერიუმები

ბაღდათის გამწმენდი ნაგებობის საპროექტო ჰიდრავლიკური დატვირთვები შემუშავებულია ორი ფაზისთვის:

- **ფაზა 1** - ჰიდრავლიკური დატვირთვები 2027 წელს მოსალოდნელი მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით;
- **ფაზა 2** - ჰიდრავლიკური დატვირთვები 2040 წელს მოსალოდნელი მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით.

საკანალიზაციო სისტემასთან დაკავშირებული მოსახლეობის და მასთან დაკავშირებული ჩამდინარე წყლების წარმოების გაანგარიშება ეფუძნება:

- გამწმენდ ნაგებობასთან დაკავშირებული მოსახლეობის მთლიანი რაოდენობის პროგნოზს 2027 წლისათვის;
- ჩამდინარე წყლების წარმოების საპროექტო კრიტერიუმებს.

ჰიდრავლიკური და დაბინძურების დატვირთვები მოცემულია ცხრილში 4.1.1.

ცხრილი 3.1. ჰიდრავლიკური და დაბინძურების დატვირთვები 2027 წლის მდგომარეობით

პარამეტრი	ერთეული	2027 წ.
მოსახლეობის ექვივალენტი	PE	2 641
ჰიდრავლიკური ტვირთი:		
დინების საშუალო ჯამური მაჩვენებელი მშრალ ამინდში	მ <sup>3</sup> /დღ	992
საშ. ნაკადი	ლ/წმ	22,0
მაქს. ნაკადი	ლ/წმ	34,0
დაბინძურების დატვირთვები:		
BOD <sub>5</sub>	კგ/დ	159
COD	კგ/დ	317
TSS	კგ/დ	185
TN	კგ/დ	29
P	კგ/დ	5

ჩამდინარე წყლებში დამაბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაციების საპროექტო კრიტერიუმად (ანუ საპროექტო ეფექტურობად) მიღებულია ევროდირექტივის (1991 წლის 21 მაისის «91/271/ EEC ევროდირექტივა ურბანული (სამეურნეო-ფეკალური) ჩამდინარე წყლების გაწმენდის შესახებ) შეზღუდვები (იხ. ცხრილი 3.2).

ცხრილი 3.2. ჩამდინარე წყლების ხარისხობრივი მაჩვენებლების საპროექტო კრიტერიუმები გაწმენდის შემდგომ

ჩაშვების	შეზღუდვები	ერთეული	სიდიდე
----------	------------	---------	--------

საქართველოში		
შეწონილი ნაწილაკები	მგ/ლ	60
ჟმმ	მგ/ლ	25
ჟქმ	მგ/ლ	125
საერთო აზოტი	მგ/ლ	15
საერთო ფოსფორი	მგ/ლ	2
ცხიმი	მგ/ლ	5
ph	-	6.5 - 8.5
ტემპერატურა	ჩაშვებული ჩამდინარე წყლების ტემპერატურა არ უნდა გაიზარდოს 5 გრადუსზე მეტი C-ით ზედაპირული წყლების ბოლო 10 წლის ყველაზე ცხელი თვის წყლის საშუალო თვიურ ტემპერატურასთან შედარებით.	
ფეკალური კოლიფორმები	შეზღუდვები არ არსებობს (მხოლოდ UV ვარიანტით)	CFU (კოლონიის წარმომქმნელი ერთეული)/100მლ
ენტერო ნემატოდა (Enteric Nematoda)	შეზღუდვები არ არსებობს (მხოლოდ UV ვარიანტით)	n/ლიტრი

### 3.2. საპროექტო პარამეტრები და ტექნოლოგიური პროცესი

როგორც აღინიშნა გამწმენდი ნაგებობის პროექტის პირველი ეტაპი განხორციელდება 2027 წლისათვის, ხოლო მეორე ეტაპი კი 2040 წლისათვის. ანგარიშში გათვალისწინებული იქნა ძირითადად 2027 წლის ფაზის პარამეტრები, თუმცა დამატებით შეფასდა, ასევე, მეორე ეტაპის ელემენტებიც (წმინდა ცხაურის სისტემა - ქვიშადაამქერი, გამწვანებული ლამის საშრობი მოედნების ექსპლუატაცია). გამწმენდი ნაგებობის შემადგენლობაში შედის შემდეგი ძირითადი ობიექტები:

- მსხვილი ცხაურის სისტემა (უხეში სკრინინგი);
- შემშვები სატუმბი სადგური;
- წმინდა ცხაურის სისტემა (მეორადი სკრინინგი), ქვიშისა და ცხიმის დამქერი;
- გამანაწილებელი საკანი და ნაკადის მზომი;
- ბიოლოგიური გამწმენდი დანადგარები, აერაციის ავზები;
- საბოლოო სალექარი ავზი;
- დიფუზორების უჯრედები და საბერველების სადგური;
- დაბრუნებული/ჭარბი აქტივირებული ლამის და ნარჩენების სატუმბო სადგური;
- UV (ულტრაიისფერი) სადუზინფექციო სისტემა (გათვალისწინებულია მე-2 ფაზისთვის);
- ლამის დამუშავების უბანი;
- სხვა დამხმარე ნაგებობები (ადმინისტრაციული შენობა, ხანძარსაწინააღმდეგო ავზი, ტექნიკური წყლის სატუმბი, გაწმენდილი წყლის გაზომვის სისტემა და სხვა).


წინასწარი პროექტის მიხედვით გამწმენდი ნაგებობის გენ-გეგმა მოცემულია სურ. 3.1.

გამწმენდი ნაგებობის თავისუფალი ტერიტორიები შემოღობილი ტერიტორიის შიგნით იქნება გამწვანებული ტერიტორიების სახით გაზონებით, ყვავილებით, ბუჩქებით და ხეებით.

მთლიანი გამწმენდი ნაგებობა გარშემორტყმული იქნება პროფილირებული ზადისებრი პანელური ღობით, საერთო სიმაღლით 2.00 მ.

### 3.2.1. უხეში (პირველადი) სკრინინგი

გამწმენდ ნაგებობაზე შემოსული საკანალიზაციო წყლები თავდაპირველად გაივლის უხეში (პირველადი) სკრინინგის სისტემას. მისი დანიშნულებაა ჩამდინარე წყლებისგან შედარებით მსხვილი ნაწილების მოშორება და შემშვები ტუმბოს დაცვა.



წინასწარი პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია მექანიკური მსხვილი ცხაურის და ხელით მართვადი სათადარიგო ცხაურის მოწყობა. შესაბამისად პირველადი სკრინინგის სისტემას ექნება 1 ძირითადი და 1 სათადარიგო ცხაური. იგი დამონტაჟდება შემშვებ არხთან.


### 3.2.2. შემშვები სატუმბო სადგური

პირველადი სკრინინგის შემდგომ საკანალიზაციო წყლები გადადის შემშვებ სატუმბო სადგურში. შემშვებთან, შემომავალი წყალი უნდა იყოს ამაღლებული ჰიდრავლიკურ დონემდე, რისი საშუალებითაც იგი თანაბრად მიეწოდება მთლიან სისტემას. პროექტირების ამ ეტაპზე შემოთავაზებულია ჩამირული ტიპის ცენტრიდანულ ტუმბოს (ერთი ძირითადი და ერთი სათადარიგო სამომავლო გაფართოებისათვის).

### 3.2.3. წმინდა ცხაურის სისტემა (მეორადი სკრინინგი) და გამანაწილებელი საკანი

შემდეგი პროცესებისათვის შემოთავაზებულია კომპაქტური ქვიშისა და ცხიმის გამწმენდი, ინტეგრირებული წვრილი გისოსებით, 2 პარალელური ხაზით - თითოეული 50% სიმძლავრით, რომელიც უკვე განკუთვნილია მე-2 ფაზისთვის (2040 წელი).


ორ მკვებავ ხაზამდე განთავსდება გამანაწილებელი საკანი, საიდანაც შემოსული მასა ხვდება შესაბამისად ორ კომბინირებულ აერაციისა და საბოლოო დალექვის ნაგებობაში, აქვეა გადამღვრელი მილები, რომლებიც დაუკავშირდება მდინარეში ჩამშვებ ნაგებობას და შეასრულებს შემოვლითი ხაზის როლს ავარიული სიტუაციის დროს.



გამოყოფისათვის განთავსებულია დამატებითი ცხაური - ქვიშის გამრეცხ სპეციალურად განკუთვნილ კონტეინერთან ერთად. ვინაიდან ერთეულები მთლიანი სისტემის პროცესის საწყის ეტაპს წარმოადგენენ, შემოთავაზებულია მათი განთავსება შემაღლებულ მდგომარეობაში, კონტეინერებით ქვემოთ.

ხრახნიანი გამრეცხი იქნება ჰორიზონტალური მილი, რომელშიც მოთავსებულია ხვეული ხრახნი. ნივთიერებების ტრანსპორტირება და დაპრესვა მოხდება ხრახნით. ნარჩენების დაპრესვის შემდეგ, სითხე გადმოვა მილის ქვედა ხვრელებიდან ჩაშვების მილისკენ, სუფთა წყალი კი შედის ხრახნებში ორგანული ნივთიერებების გამორეცხვის მიზნით.


სურ. 3.1. გამწმენდი ნაგებობის გეგმა




ნაგებობაში შემავალი ნაკადის გაზომვა მოხდება ელექტრომაგნიტური ნაკადის მზომით (რომელიც განთავსდება მილსადენზე) ქვიშისა და ცხიმის გამოდევნის შემდეგ. წვდომისათვის/ოპერირებისთვის მოეწყობა ცალკე ბეტონის ჭა. ნაკადის მზომი დამონტაჟდება მშრალ საკანში მილზე, რაც საკმარისი იქნება მაქსიმალური ზღვარის მისაღწევად. გაზომვის შედეგად, დინება განისაზღვრება მ<sup>3</sup>/სთ-ში ან ლ/წმ-ში. გაზომვის სიზუსტე დაახლოებით  $\pm 0,5\%$ -ია.

### 3.2.4. ბიოლოგიური გამწმენდი დანადგარები, აერაციის ავზები

წმინდა ცხურის სისტემის შემდეგ გასაწმენდი მასა გადადის გაწმენდის ძირითად ეტაპზე - აერაციის ავზებში, სადაც წარიმართება ბიოლოგიური და ქიმიური პროცესები ავზებში მიმდინარე ბიოლოგიური დამუშავების ამოცანაა ნახშირბადის და საკვები ნივთიერების გამოდევნა გააქტიურებული ლამის პროცესით (CAS, A2/O პროცესის ტიპი). ნუტრიენტების მოცილება (აზოტი და ფოსფორი) განხორციელდება ერთდროულად, დენიტრიფიკაციისა და ქიმიური P-ის მოცილებით  $FeCl_3$ -ის საშუალებით.



ლამის სიძველე შეირჩევა ისე, რომ ჭარბი ლამი სრულად იყოს სტაბილიზირებული მოცემულ საპროექტო პირობებში. შემოთავაზებულია 20-25 დღე. აერაციის ავზების პროექტი შემუშავდება 12°C ტემპერატურის მიხედვით.



ბიოლოგიური გამწმენდი ორი დაპროექტებული იქნება პირველი ფაზის დაბინძურების ტვირთის გათვალისწინებით. მე-2 ფაზაში დამატებითი დატვირთვა მოხდება მესამე დამატებითი ხაზის გაფართოებით.

ბიოლოგიურად გააქტიურებული ლამის დამუშავების პრინციპია შემომავალი, წინასწარ დამუშავებული ჩამდინარე წყლისა და გადამუშავებული გააქტიურებული ლამის აერირება ავზში. საკმარისი აერაციის პერიოდის

შემდეგ, ლამი გამოიყოფა ჩამდინარე წყლიდან მეორეულ გამწმენდში. გაწმენდილი ჩამდინარე წყლები მიედინება შემდგომი დამუშავებისკენ. გამწმენდში შეგროვებული ლამის ნაწილი, დაბრუნებული გააქტიურებული ლამი, ბრუნდება აერაციის ავზებში წინასწარ დამუშავებულ ჩამდინარე წყალთან შესარევად.

ბიოლოგიური ავზები კონტროლირებადია და შედგება შემდეგი ნაწილებისგან/კამერებისგან:

1. ორ ხაზად განლაგებული გამანაწილებელი შემავალი კამერა (ჩაძირული ტიპის შესასვლელით, ექსპლუატაციის ან დაბალი დატვირთვის შემთხვევაში, ხაზების იზოლირება შესაძლებელი იქნება მექანიკური ურდულებით);
2. ერთდროული დენიტრიფიკაციისა უჟანგბადო ზონა (ნიტრატი, ჟანგბადის გარეშე) ინტეგრირებულია აერაციის მთლიან მოცულობაში. გამოთვლილი კოეფიციენტი საკმარისი უნდა იყოს ჩაშვების მნიშვნელობების შესანარჩუნებლად;

3. აერობული ზონა, ნიტრიფიკაციის (აერირებული) ავზები განთავსდება 2 პარალელურ რიგად. თითოეული რიგი აღჭურვილი იქნება ჟანგბადის სენსორებით, რათა შეინარჩუნოს კონცენტრაცია - 1,5 - მაქსიმუმ 3 მგ/ლ გახსნილი ჟანგბადი. კონტროლი განხორციელდება მოტორიზებული ჰაერის კონტროლის ურდულებით (თითო თითოეული ხაზისა და განყოფილებისთვის);
4. ნიტრიფიკაციის ავზებში აერაციის რეკომენდირებული ტიპია წვრილი ბურთულოვანი აერაცია ყველაზე ეფექტური დიფუზორით (მაგ. ბრტყელი დიფუზორები);
5. გამოყოფის პროცესი დაპროექტებული იქნება  $FeCl_3$  ხსნარის დახურული წესით დამატებით (აღნიშნული გამორიცხავს გაფრქვევებს ჰაერში), აერაციის ავზების გასასვლელში ფოსფატის ( $PO_4^{3-}$ ) ქიმიური დალექვის მიზნით რკინის ფოსფატში. იარსებებს  $FeCl_3$ -ის შესანახი ავზი (ჰერმეტიკული) > 30 დღე შენახვის ვადით, გაჟონვის შეკავების აუზით და 1 + 1 სათადარიგო დოზირების ტუმბოები;
6.  $FeCl_3$ -ის დოზა გაკონტროლდება გამწმენდი ნაგებობის შემავალი ნაკადის პროპორციულად. საჭირო თანაფარდობა  $FeCl_3$ /წყლის ნაკადი დარეგულირდება ლაბორატორიული ანალიზის შედეგებით.

### **3.2.5. საბოლოო სალექარი ავზი**

საბოლოო სალექარი ავზების ამოცანაა აერაციის გამოსასვლელიდან გააქტიურებული ლამის გამოყოფა დალექვით.

სალექარი ავზი იქნება წრიული ფორმის და ლამის მილებით, ძირის საფხეკი - ნარჩენების შემგროვებელი სისტემით. სუფთა წყლის გადმოდინება მოხდება მილებით. საფხეკების დანიშნულებაა დალექილი ლამის გადატანა ლამის ძაბრებში. თითოეულ ძაბრს გააჩნია ჩაძირული მილი, რომელსაც გრავიტაციით გადააქვს ლამი ძაბრიდან სატუმბი სადგურისკენ.

### **3.2.6. დიფუზორების უჯრედები და საბერველების სადგური**

გასაწმენდ წყალში ჟანგბადის შესვლა უნდა მოხდეს წვრილ-ბუმტუკოვანი აერაციით. ამისთვის საჭიროა ეფექტური დიფუზორები დისკით, მილით ან პანელებით.

ჰაერის მიწოდება მოხდება ერთი ძირითადი წყაროსათვის, საიდანაც შემდგომში იგი განაწილდება აერაციის ავზებში. აერაციის უჯრედებს ექნება მოხსნადი მექანიკური სარქველები.

აერაციის ბადეები იქნება მისაწვდომად უსაფრთხო. ოპერირების დროს, დიფუზორის პანელები იქნება მოცილებადი. გათვალისწინებული იქნება ამწევი მოწყობილობები.

ყველა საბერველი იქნება ერთ შენობაში, გადაადგილებადი ტიპის. აერაციის სიმძლავრე შეირჩევა ყველაზე მინიმალური ტემპერატურით 25°C და ნახშირბადის/ ნიტრიფიკაციის დღიური დატვირთვის მიხედვით.

საბერველებით მოხდება ჰაერის მიწოდება საერთო საჰაერო მილში, რომელიც გაკონტროლდება მილში შესაბამისი წნევის საზომით. წნევა მილში იქნება მუდმივად.

ჰაერის საჭირო რაოდენობა ორ ხაზში შემოწმდება ძრავიანი საკონტროლო სარქველებით, რაც დამოკიდებულია ჟანგბადის მზომის წყაროზე თითოეულ აერირებულ ზონაში. საბერველებში ჰაერის შესვლის პროცესი იქნება ლიმიტირებული, მაქს. 35°C.

### 3.2.7. დაბრუნებული/ჭარბი აქტივირებული ლამი და ნარჩენების სატუმბო სადგური

დაბრუნებული გააქტიურებული ლამის (RAS) რეცირკულაციის მთავარი მიზანია MLSS (შერეული თხევადი შეწონილი ნაწილაკები) შენარჩუნება აერაციის ავზებში შესაბამის (ტექნოლოგიური პროცესისათვის აუცილებელ) სიდიდეზე. RAS სატუმბო სადგურის არსებული ნაკადი პროპორციული უნდა იყოს შემავალი მრიცხველის მაჩვენებლისა და ლამის დაბრუნების დადგენილი კოეფიციენტის.

საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ძირითადი ტუმბოს შეცვლა სათადარიგო ტუმბოთი. დაბრუნებული ლამის თითოეული ტუმბოს ოპერირებისა და გაუმართაობის სიგნალები გადაეცემა SCADA-ს მონიტორინგის მიზნით. დაბრუნებული გააქტიურებული ლამის ნაკადის მაჩვენებელი გამოყენებული იქნება ძრავიანი რეგულირებადი ურდულების გასაკონტროლებლად დაბრუნებული ლამის სატუმბო სადგურში. დაბრუნებული ლამი მიეწოდება აერაციის ტანკს.

ადგილობრივი მართვის პანელი მოიცავს საგანგებო გაჩერების ღილაკს, ავტომატურ/ხელით გადამრთველს, შესაბამისად, თითოეული მოწყობილობისათვის იქნება ხელმისაწვდომი შემდეგი ღილაკები: ჩართვა/გამორთვის ღილაკები, ძრავის ბრუნვის სიჩქარის რეგულირების ღილაკი, ძრავის ბრუნვის სიჩქარის ჩვენება, ოპერაციის სიგნალიზაცია, ავარია/განგაში, უსაფრთხოების აღჭურვილობა.

ჭარბი გააქტიურებული ლამი (SAS) და ნარჩენების ტუმბოები უზრუნველყოფენ ჭარბი ლამისა და ნარჩენების მიწოდებას ლამის გასქელება/გაუწყლოებამდე. ტუმბოებმა უნდა უზრუნველყონ სატუმბო სადგურში ბიოლოგიური ლამის მუდმივი დონის შენარჩუნება.

სატუმბო სადგური დაპროექტდება ისე, რომ შესაძლებელი იყოს მისი ხელით მართვა და ავტომატური ოპერირება. საბოლოო სალექარი ავზებიდან ნარჩენები გადაიტუმბება ლამის გამასქელებელში.

### 3.2.8. ლამის დამუშავების პროცესი და ერთეულების აღწერა

ჭარბი ლამი უნდა ამოიტუმბოს საბოლოო სალექარი ავზიდან და გასქელდეს სტატიკურ გამასქელებელში.

იგი აღჭურვილი იქნება მიქსერით და დეკანტერით (ლამის სადგურში გადასატანად). გასქელებული ლამის კონცენტრაციამ უნდა მიაღწიოს 20 გ/ლ-ს ~ 3 დღის განმავლობაში. ამ ეტაპზე განიხილება, რომ გამასქელებელი შეიძლება აღიჭურვოს პიკეტის ღობითა და გადამღვრელი მილებით, დეკანტერისა და ჩადირული ტიპის შემრევის ნაცვლად. ლამის შესქელების შედეგად წარმოქმნილი წყლები დაბრუნდება გაწმენდის პროცესში.

ავზის მომარაგება გაუსქელებელი ლამით მოხდება პორციობით, მაგ. დღეში ერთხელ, ისევე როგორც გასქელებული ლამის აღება უნდა მოხდეს პორციობით ლამის გაუწყლოებამდე (გამწვანებული საშრობი მოედნები).

გასქელების პროცესის კონტროლის მიზნით, გაიზომება ლამის ფენის სიღრმე ავზში. ლამის ფენის ოპტიმალური სიღრმე და გასქელების დრო განისაზღვრება პროცესის დაწყების შემდეგ.

მოეწყობა ლამის სატუმბო სადგური, რათა გასქელებული ლამი მიეწოდოს გამწვანებულ საშრობ მოედნებს. სატუმბო სადგური უნდა განთავსდეს ცალკე შენობაში. ზემოთ აღწერილი პროცესის მიმდინარეობისას, ტუმბოების ოპერირება მოხდება ეტაპობრივად, სატუმბო



სადგურის შიგნით კი სარქველების გაღება/დაკეტვა განხორციელდება ავტომატურად.

გამწვანებული საშრობი მოედნების მოწყობა და რეზერვირება გათვალისწინებულია მე-2 ფაზისათვის (2040 წელი). აშენება კი პირველი ფაზისათვის (2027 წელი) მოხდება (შესაბამისად, გათვალისწინებულ იქნა მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის შეფასებისას). გამწვანებული საშრობი მოედნები იქნება საუკეთესო გამოსავალი ჭარბი ლამისთვის. ასევე არაკანალიზებულ ტერიტორიებზე წარმოქმნილი სეპტიკური ლამისათვის, რომელიც შემოიტანება საასენიზაციო მანქანებით.

მოედნების შევსება მოხდება პორციებად, ერთმანეთის მიყოლებით, წინასწარ შემსჯელებლიდან. საშრობი მოედნები უნდა მოიცავდეს დაახლოებით 25% დამატებით მოედანს ლამის შრობისათვის (დაახლოებით 6 თვე) მის საბოლოო გადატანამდე.

ლამის გადატანა დანიშნულების ადგილამდე მოხდება სატვირთო მანქანით (სპეციალური ავტომობილი) საშუალებით.

### 3.2.9. გაწმენდილი წყლის გაზომვის სისტემა

გამწმენდი ნაგებობის გამომავალი დინება გაიზომება ულტრაბგერითი ნაკადის მზომით და განთავსდება ღია არხში. არხის მთლიანი სიგრძე საკმარისი იქნება იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რაიმე ჰიდრავლიკური დარღვევა.

საზომი ინსტრუმენტი დამონტაჟებული იქნება ბეტონის არხის ზემოთ, ჩამდინარე წყლების სატუმბო სადგურში ჩაშვებამდე. გაზომვის სიზუსტე სრულ მასშტაბზე იქნება  $\pm 0.5\%$ .

გარდა ამისა, მოეწყობა ნიმუშის ავტომატურად აღების დანადგარები: ერთი განთავსდება ჩაშვების საკანთან ახლოს და ერთიც - შემშვებ საკანთან.

მოეწყობა პატარა შენობა, სადაც განთავსდება სინჯის ამღები დანადგარი, ყუთი და ტექნიკური წყლის სატუმბო სადგური.



### 3.2.10. სუნის კონტროლი ბიო-ფილტრებით

სუნის მოსაშორებლად განიხილება ბიო-ფილტრების მოწყობა. ბიო-ფილტრები დაუკავშირდება შემდეგ ერთეულებს:

- უხეში ცხაურის არხი;
- შემშვები სატუმბო სადგური;
- შენობა წმინდა ცხაურით/ქვიშის დრენაჟით და კონტეინერებით.

პროცესის ინტეგრირებული ბიოლოგიური რეგენერაციიდან გამომდინარე, ბიოფილტრის ტექნიკა არის ეფექტური მეთოდი სუნის აღმოსაფხვრელად და დაბალი კონცენტრაციის ან გამოშვებული ჰაერის გასაწმენდად. ეს პროცესი მიმდინარეობს დამზინძურებლების ბიოლოგიური დეგრადაციის ბუნებრივი რეაქციების საშუალებით. იგი ითვალისწინებს:

- გარემოს ტემპერატურას;
- ნეიტრალურ pH და ნორმალური წნევას;
- არაპრობლემური საბოლოო პროდუქტის წარმოებას;
- სუნის განეიტრალებას.

### **3.3. მშენებლობის ორგანიზება**

სამშენებლო სამუშაოები შესრულდება 1,0-1,5 წლის განმავლობაში (წელიწადში დაახლოებით 280 დღე). გამწმენდი ნაგებობის (ასევე ნაპირსამაგრი ნაგებობის) მშენებლობაში დასაქმებული იქნება დაახლოებით 30 ადამიანი. პროექტის მასშტაბის გათვალისწინებით მსხვილი სამშენებლო ბანაკის შექმნა არ იგეგმება. წინასწარი მოსაზრებით დროებითი სამშენებლო ინფრასტრუქტურა განლაგდება გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისთვის შერჩეული მიწის ნაკვეთის ფარგლებში. მშენებლობის პროცესი ასევე ითვალისწინებს ნაპირდამცავი სამუშაოების შესრულებას მდ. ხანისწყლის გასწვრივ.

#### 4. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი ძირითადი მახასიათებელი სიდიდეები

ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელია ქვემოთ მოყვანილი მავნე ნივთიერებების ემისია, რომელთა მაქსიმალური ერთჯერადი და საშუალო დღეღამური ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები [5] მოცემულია ცხრილში 4.1

ცხრილი 4.1. მავნე ნივთიერებათა ძირითადი მახასიათებლები

მავნე ნივთიერებათა		ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია, მგ/მ <sup>3</sup>		საშიშროების კლასი
კოდი	დასახელება	მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო სადღეღამისო	
301	აზოტის დიოქსიდი	0,2	0,04	2
303	ამიაკი	0,2	0,04	4
304	აზოტის ოქსიდი	0,4	0,06	3
333	გოგირდწყალბადი	0,008	-	2
410	მეთანი	50 (სუზდ)	-	-
1071	ფენოლი	0,01	0,003	2
1325	ფორმალდეჰიდი	0,035	0,003	2
1728	ეთილმერკაპტანი	0,00005	-	3

საწარმოს ფუნქციონირების მონაცემების ანალიზის საფუძველზე იდენტიფიცირებული ატმოსფერული ჰაერის უმთავრესი დამაბინძურებელი წყაროებია:

- მიმღები/გამანაწილებელი კამერა - გ-1
- მესერი/ცხაური - გ-2
- ქვიშადაძქერი - გ-3
- აერაციისა და საბოლოო დაღექვის ავზი - გ-4
- ლამის გამასქელებელი - გ-5
- ლამის გამწვანებული საშრობი მოედნები - გ-6

## 5. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში

გამწმენდი ნაგებობის შემადგენლობაში შედის შემდეგი ძირითადი დანადგარები, რომლებიც წარმოადგენს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროებს:

- მსხვილი ცხაურის სისტემა (უხეში სკრინინგი);
- წმინდა ცხაურის სისტემა (მეორადი სკრინინგი), ქვიშისა და ცხიმის დამჭერი;
- მიმღები/გამანაწილებელი საკანი;
- ბიოლოგიური გამწმენდი დანადგარები - აერაციის და საბოლოო დალექვის ავზები;
- ლამის დამუშავების უბანი - ლამის გამასქელებელი;
- ლამის გამწვანებელი საშრობი მოედნები.

გამწმენდი დანადგარის საყოფაცხოვრებო წყლების გამწმენდი ნაგებობიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ანგარიში ხორციელდება საანგარიშო ფორმულები [8]-ის მიხედვით, ნივთიერების კონცენტრაციის გასაშუალოებით:

**მაქსიმალური გაფრქვევა ( $M_{max}$ ), გ/წმ**

როდესაც  $u \leq 3$

$$M_{max} = 2,7 \cdot 10^{-5} \cdot a_1 \cdot C_{max} \cdot S^{0,93}$$

როდესაც  $u > 3$

$$M_{max} = 0,9 \cdot 10^{-5} \cdot u \cdot a_1 \cdot C_{max} \cdot S^{0,93}$$

$u$  - ქარის სიჩქარე, დაფიქსირებული წლის პერიოდში, როდესაც იყო გაზომილი კონცენტრაცია  $C_{max}$ , მ/წმ

$a_1$  - უგანზომილებო კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ტემპერატურის გადაჭარბებას წყლის ზედაპირიდან ჰაერის ტემპერატურაზე, 2 მეტრის სიმაღლეზე მოწყობილობის სიახლოვეს.

$C_{max}$  - დამაბინძურებელი ნივთიერების გასაშუალოებული კონცენტრაცია აორთქლების ზედაპირზე მგ/მ<sup>3</sup>

$S$  - წყლიანი ზედაპირის მთლიანი ფართობი (ითვალისწინებს დაფარულ ნაწილსაც)

**გამწმენდის აერირებადი უბნიდან მაქსიმალური გაფრქვევა იანგარიშება ფორმულით:**

$$M_i = M_{max} + C_{max} \cdot W \cdot 10^{-3}, \text{ გ/წმ,}$$

$W$  - დანადგარის აერაციისთვის განკუთვნილი ჰაერის ხარჯი (მ<sup>3</sup>/წმ)

**ჯამური წლიური გაფრქვევა ( $G$ ), ტ/წ:**

$$G = 31,5 \cdot \sum P_i \cdot M_i$$

$P_i$  - ქარის სიჩქარის გრადაციის განმეორებადობა (უგანზომილებო)

$M_i$  - წყლიანი ზედაპირის სიახლოვეს  $i$ -ური ნივთიერების გაფრქვევის სიმძლავრე საშუალო კონცენტრაციისას ქარის შუა გრადაციის პირობებში.

[8]-ის 7.1.7 ნაწილის თანახმად, საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობებისთვის დღე-ღამეში 10000 მ<sup>3</sup>-ზე ჩამდინარე წყლის წარმადობით, ასევე, **საპროექტო ნაგებობებისთვის, დღე-ღამეში 25000 მ<sup>3</sup> წარმადობით**, დასაშვებია მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ანგარიშის განხორციელება 7.8 ნაწილში მოცემული ჩამდინარე წყლის აორთქლების ზედაპირზე ფიქსირებული გასაშუალოებული კონცენტრაციის მნიშვნელობების გამოყენებით (ცხრილი 5.1).

ცხრილი 5.1. ჩამდინარე წყლის აორთქლების ზედაპირზე ფიქსირებული გასაშუალოებული კონცენტრაციის მნიშვნელობები, მგ/მ<sup>3</sup>

დანადგარი	აზოტის დიოქსიდი	ამიაკი	აზოტის ოქსიდი	გოგირდწყალბადი	მეთანი	ფენოლი	ფორმალდეჰიდი	ეთილმერკაპტანი <sup>1</sup>
მიმღები/გამანაწილებელი კამერა	0,041	0,25	0,07	0,49	35,2	0,026	0,036	0,0018
მესერი/ცხაური	0,029	0,24	0,059	0,12	7,54	0,026	0,021	0,0062
ქვიშადაამქერი	0,018	0,23	0,073	0,033	2,95	0,017	0,029	0,0014
პირველადი დამლექი	0,0068	0,167	0,073	0,044	5,58	0,0214	0,028	0,0011
აეროტანკი	0,004	0,095	0,07	0,032	2,57	0,0252	0,026	0,0013
მეორადი დამლექი	0,022	0,149	0,0711	0,033	2,0	0,0254	0,037	0,0013
ლამის საცავი	0,022	0,135	0,105	0,038	1,8	0,037	0,05	0,0015
ნალექის დამტკეპნი-ლამის გაუწყლოება	0,044	0,14	0,1	0,0988	8,5	0,038	0,043	0,0027
დადუღებული ლექის დამტკეპნი	0,022	0,273	0,1	0,113	4,6	0,1	0,054	0,0045
ქვიშის მოედანი	0,011	0,09	0,065	0,124	2,7	0,02	0,018	0,00069
ლამის მოედანი	0,0056	0,36	0,1	0,029	1,6	0,037	0,025	0,0013

ზედაპირის დაფარვის და გვერდითი წინაღობების გათვალისწინება ხორციელდება შემდეგი ფორმულების გამოყენებით:

$$M_{max} = M_{max} \cdot a_3$$

$$G = G \cdot a_3$$

$a_3$  - უგანზომილებო კოეფიციენტი, ითვალისწინებს ზედაპირის დაფარულობის პირობებს.

$$a_3 = (1 - 0.705 \cdot n^2 - 0.2 \cdot n) = 1,0, \text{ ვინაიდან მოწყობილობის დაფარვის ხარისხი } n = S_o/S = 0.0$$

გვერდითი წინაღობების გათვალისწინება:  $a_4 = u_c/u_o = 1$

პარალელურად (სინქრონულად) ქარის სიჩქარე წყლის ზედაპირზე ( $u_c$ , მ/წმ-8,8);

პარალელურად (სინქრონულად) ქარის სიჩქარე მიწის ზედაპირზე დანადგარის სიახლოვეს ( $u_o$ , მ/წმ-8,8).

უარესი სცენარის გათვალისწინებით, გაფრქვევის ანგარიში განხორციელდა შემარბილებელი ფაქტორების - მოწყობილობის დაფარვის ხარისხის და გვერდითი წინაღობების მხედველობაში მიღების გარეშე.

### საწყისი საანგარიშო სტატისტიკური მეტეო მონაცემები

ქალაქი-ბაღდათი

ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა ( $T_{3^{საშ}}$ ) 14 °C;

ქარის საშუალო წლიური სიჩქარე- 3 მ/წმ;

ყველაზე ცხელი თვის საშუალო ტემპერატურა - 23,3 °C;

ქარის სიჩქარე, რომლის გადაჭარბების განმეორებადობა შეადგენს 5%-ს - 8,8 მ/წმ;

წყლის საშუალო წლიური ტემპერატურა ( $T_{წყ^{საშ}}$ ): 12 °C

<sup>1</sup> იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მეთოდულად [8] მოცემულია უფრო მკაცრი კოეფიციენტი (ეთილმერკაპტანზე გადაანგარიშების ფაქტორის გამო), ანგარიშისას ეთილმერკაპტანის კოეფიციენტის მნიშვნელობა გაყოფილ იქნა მის მოლეკულურ მასაზე.

წყლის ფაქტიური ტემპერატურა ( $T_{\text{ფ}}^{\text{ფ}}$ ): 17 °C

ჰაერის ტემპერატურა 2 მეტრ სიმაღლეზე წყლის ზედაპირიდან ( $T_{\text{ჰ}}^{\text{ჰ}}$ ): 19 °C

წყლის ზედაპირის ტემპერატურის გადამეტება ჰაერის ტემპერატურაზე ფაქტიური ( $\Delta T^{\text{ფ}}$ ):  
 $\Delta T^{\text{ფ}} = T_{\text{ფ}}^{\text{ფ}} - T_{\text{ჰ}}^{\text{ჰ}} = (-) 2^{\circ}\text{C}$

საშუალო ( $\Delta T^{\text{საშ}}$ ):  $\Delta T^{\text{საშ}} = T_{\text{ფ}}^{\text{საშ}} - T_{\text{ჰ}}^{\text{საშ}} = (-) 3^{\circ}\text{C}$ .

წარმოდგენილი პარამეტრების მიხედვით,  $U=8,8>3$ , შესაბამისად, ანგარიში განხორციელდება ფორმულით:

$$M_{\text{max}} = 0,9 \cdot 10^{-5} \cdot u \cdot a_1 \cdot C_{\text{max}} \cdot S^{0,93}$$

ტემპერატურის სხვაობა წყლის ზედაპირზე და მოწყობილობაზე  $< 5^{\circ}\text{C}$ , შესაბამისად,  $a_1^{\text{ფ}} = 1$ .

ანგარიშის შედეგები თითოეული დანადგარისთვის წარმოდგენილია ცხრილებში 5.2-5.7.

ემისიის ანგარიში მიმღები/გამანაწილებელი კამერიდან - გაფრქვევის წყარო გ-1:

დანადგარის საპროექტო ზედაპირის ფართობი - 25 მ<sup>2</sup>.

ცხრილი 5.2. გაფრქვევის მაჩვენებლები

კოდი	ნივთიერების დასახელება	მაქსიმალური ერთჯერადი გაფრქვევა, გ/წმ	საშუალო წლიური გაფრქვევა, ტ/წ
301	აზოტის დიოქსიდი	0,0001	0,0020
303	ამიაკი	0,0004	0,0124
304	აზოტის ოქსიდი	0,0001	0,0035
333	გოგირდწყალბადი	0,0008	0,0244
410	მეთანი	0,0556	1,7525
1071	ფენოლი	0,00004	0,0013
1325	ფორმალდეჰიდი	0,00006	0,0018
1728	ეთილმერკაპტანი	0,00000005	0,000001

ემისიის ანგარიში მესერი/ცხაურიდან - გაფრქვევის წყარო გ-2:

დანადგარის საპროექტო ზედაპირის ფართობი - 10 მ<sup>2</sup>.

ცხრილი 5.3. გაფრქვევის მაჩვენებლები

კოდი	ნივთიერების დასახელება	მაქსიმალური ერთჯერადი გაფრქვევა, გ/წმ	საშუალო წლიური გაფრქვევა, ტ/წ
301	აზოტის დიოქსიდი	0,00002	0,0006
303	ამიაკი	0,00016	0,0051
304	აზოტის ოქსიდი	0,00004	0,0013
333	გოგირდწყალბადი	0,0001	0,0025
410	მეთანი	0,0051	0,1601
1071	ფენოლი	0,00002	0,0006
1325	ფორმალდეჰიდი	0,00001	0,0004
1728	ეთილმერკაპტანი	0,0000001	0,000002

ემისიის ანგარიში ქვიშადამჭერიდან - გაფრქვევის წყარო გ-3:

დანადგარის საპროექტო ზედაპირის ფართობი - 25 მ<sup>2</sup>.

ცხრილი 5.4. გაფრქვევის მაჩვენებლები

კოდი	ნივთიერების დასახელება	მაქსიმალური ერთჯერადი გაფრქვევა, გ/წმ	საშუალო წლიური გაფრქვევა, ტ/წ
301	აზოტის დიოქსიდი	0,00003	0,0009
303	ამიაკი	0,00036	0,0115
304	აზოტის ოქსიდი	0,00012	0,0036
333	გოგირდწყალბადი	0,00005	0,0016
410	მეთანი	0,00466	0,1469
1071	ფენოლი	0,00003	0,0008
1325	ფორმალდეჰიდი	0,00005	0,0014
1728	ეთილმერკაპტანი	0,00000004	0,000001

**ემისიის ანგარიში აერაციისა და საბოლოო დალექვის ავზიდან - გაფრქვევის წყარო გ-4:**

აერაციის ავზის (აეროტენკის) საპროექტო ზედაპირის ფართობი - 300 მ<sup>2</sup>, აერირებისთვის განკუთვნილი ჰაერის ხარჯი - 3500 მ<sup>3</sup>/სთ (≈1 მ<sup>3</sup>/წმ).

საბოლოო (მეორადი) დალექვის ავზის საპროექტო ზედაპირის ფართობი - 100 მ<sup>2</sup>.

ცხრილი 5.5.1. გაფრქვევის მაჩვენებლები აეროტენკისთვის

კოდი	ნივთიერების დასახელება	მაქსიმალური ერთჯერადი გაფრქვევა, გ/წმ	საშუალო წლიური გაფრქვევა, ტ/წ
301	აზოტის დიოქსიდი	0,0001	0,0021
303	ამიაკი	0,0016	0,0507
304	აზოტის ოქსიდი	0,0012	0,0373
333	გოგირდწყალბადი	0,0005	0,0171
410	მეთანი	0,0435	1,3713
1071	ფენოლი	0,0004	0,0134
1325	ფორმალდეჰიდი	0,0004	0,0139
1728	ეთილმერკაპტანი	0,0000004	0,000011

ცხრილი 5.5.2. გაფრქვევის მაჩვენებლები საბოლოო (მეორადი) დალექვის ავზისთვის

კოდი	ნივთიერების დასახელება	მაქსიმალური ერთჯერადი გაფრქვევა, გ/წმ	საშუალო წლიური გაფრქვევა, ტ/წ
301	აზოტის დიოქსიდი	0,0001	0,0040
303	ამიაკი	0,0009	0,0269
304	აზოტის ოქსიდი	0,0004	0,0129
333	გოგირდწყალბადი	0,0002	0,0060
410	მეთანი	0,0115	0,3615
1071	ფენოლი	0,0001	0,0046
1325	ფორმალდეჰიდი	0,0002	0,0067
1728	ეთილმერკაპტანი	0,0000001	0,000004

ჯამურად, აერაციისა და საბოლოო დალექვის ავზიდან გაფრქვევის მაჩვენებლები მოცემულია ცხრილში 5.5.

ცხრილი 5.5. გაფრქვევის მაჩვენებლები გ-4 გაფრქვევის წყაროსთვის

კოდი	ნივთიერების დასახელება	მაქსიმალური ერთჯერადი გაფრქვევა, გ/წმ	საშუალო წლიური გაფრქვევა, ტ/წ
301	აზოტის დიოქსიდი	0,0002	0,0061
303	ამიაკი	0,00246	0,0776
304	აზოტის ოქსიდი	0,0016	0,0502
333	გოგირდწყალბადი	0,0007	0,0230
410	მეთანი	0,0550	1,7327
1071	ფენოლი	0,0006	0,0180
1325	ფორმალდეჰიდი	0,0007	0,0206
1728	ეთილმერკაპტანი	0,0000005	0,000015

ემისიის ანგარიში ლამის გამასქელებლიდან - გაფრქვევის წყარო გ-5:

ნალექის დამტკეპნი - ლამის გაუწყლოების დანადგარის საპროექტო ზედაპირის ფართობი - 20 მ<sup>2</sup>.

ცხრილი 5.6. გაფრქვევის მაჩვენებლები

კოდი	ნივთიერების დასახელება	მაქსიმალური ერთჯერადი გაფრქვევა, გ/წმ	საშუალო წლიური გაფრქვევა, ტ/წ
301	აზოტის დიოქსიდი	0,0001	0,0018
303	ამიაკი	0,0002	0,0057
304	აზოტის ოქსიდი	0,0001	0,0040
333	გოგირდწყალბადი	0,0001	0,0040
410	მეთანი	0,0109	0,3439
1071	ფენოლი	0,00005	0,0015
1325	ფორმალდეჰიდი	0,0001	0,0017
1728	ეთილმერკაპტანი	0,0000001	0,000002

ემისიის ანგარიში ლამის გამწვანებული საშრობი მოედნებიდან - გაფრქვევის წყარო გ-6:

მოედნების ზედაპირის საერთო ფართობი აღემატება 3000 მ<sup>2</sup>-ს, თუმცა ერთდროულად მოხდება მხოლოდ თითო უჯრედის დატვირთვა. დანადგარის საპროექტო სამუშაო ზედაპირის ფართობია - 125 მ<sup>2</sup>.

ცხრილი 5.7. გაფრქვევის მაჩვენებლები

კოდი	ნივთიერების დასახელება	მაქსიმალური ერთჯერადი გაფრქვევა, გ/წმ	საშუალო წლიური გაფრქვევა, ტ/წ
301	აზოტის დიოქსიდი	0,00004	0,0012
303	ამიაკი	0,00254	0,0801
304	აზოტის ოქსიდი	0,00071	0,0222
333	გოგირდწყალბადი	0,00020	0,0065
410	მეთანი	0,01130	0,3559
1071	ფენოლი	0,00026	0,0082
1325	ფორმალდეჰიდი	0,00018	0,0056
1728	ეთილმერკაპტანი	0,0000001	0,0000047

## 6. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროების პარამეტრები

ცხრილი 6.1. მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროების დახასიათება

წარმოების, საამქროს, უბნის დასახელება	მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს			მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროს					მავნე ნივთიერებათა		გამოყოფის წყაროდან გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა, ტ/წელი
	ნომერი	დასახელება	რაოდენობა, ცალი	ნომერი	დასახელება	რაოდენობა, ცალი	მუშაობის დრო დღე-ღამეში, სთ	მუშაობის დრო წელიწადში, სთ	დასახელება	კოდი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ქ. ბაღდათის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა	გ-1	არაორგანიზებული	1	500	მიმღები/გამანაწილებელი კამერა	1	24	8760	აზოტის დიოქსიდი	301	0,0020
									ამიაკი	303	0,0124
									აზოტის ოქსიდი	304	0,0035
									გოგირდწყალბადი	333	0,0244
									მეთანი	410	1,7525
									ფენოლი	1071	0,0013
									ფორმალდეჰიდი	1325	0,0018
									ეთილმერკაპტანი	1728	0,000001
	გ-2	არაორგანიზებული	1	501	მესერი/ცხაური	1	24	8760	აზოტის დიოქსიდი	301	0,0006
									ამიაკი	303	0,0051
									აზოტის ოქსიდი	304	0,0013
									გოგირდწყალბადი	333	0,0025
									მეთანი	410	0,1601
									ფენოლი	1071	0,0006
ფორმალდეჰიდი	1325	0,0004									

წარმოების, საამქროს, უბნის დასახელება	მაგნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს			მაგნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროს					მაგნე ნივთიერებათა		გამოყოფის წყაროდან გაფრქვეულ მაგნე ნივთიერებათა რაოდენობა, ტ/წელი
	ნომერი	დასახელება	რაოდენობა, ცალი	ნომერი	დასახელება	რაოდენობა, ცალი	მუშაობის დრო დღე-ღამეში, სთ	მუშაობის დრო წელიწადში, სთ	დასახელება	კოდი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
	გ-3	არაორგანიზებული	1	502	ქვიზადამჭერი	1	24	8760	ეთილმერკაპტანი	1728	0,00002
									აზოტის დიოქსიდი	301	0,0009
									ამიაკი	303	0,0115
									აზოტის ოქსიდი	304	0,0036
									გოგირდწყალბადი	333	0,0016
									მეთანი	410	0,1469
									ფენოლი	1071	0,0008
									ფორმალდეჰიდი	1325	0,0014
									ეთილმერკაპტანი	1728	0,00001
	გ-4	არაორგანიზებული	1	503-504	აერაციისა და საბოლოო დალექვის ავზი	2	24	8760	აზოტის დიოქსიდი	301	0,0061
									ამიაკი	303	0,0776
									აზოტის ოქსიდი	304	0,0502
									გოგირდწყალბადი	333	0,0230
									მეთანი	410	1,7327
									ფენოლი	1071	0,0180
ფორმალდეჰიდი									1325	0,0206	
ეთილმერკაპტანი	1728	0,000015									
გ-5	არაორგანიზებული	1	505	ლამის გამასქელებელი	1	24	8760	აზოტის	301	0,0018	

წარმოების, საამქროს, უბნის დასახელება	მაგნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს			მაგნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროს					მაგნე ნივთიერებათა		გამოყოფის წყაროდან გაფრქვეულ მაგნე ნივთიერებათა რაოდენობა, ტ/წელი
	ნომერი	დასახელება	რაოდენობა, ცალი	ნომერი	დასახელება	რაოდენობა, ცალი	მუშაობის დრო დღე-ღამეში, სთ	მუშაობის დრო წელიწადში, სთ	დასახელება	კოდი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
		ბული							დიოქსიდი		
									ამიაკი	303	0,0057
									აზოტის ოქსიდი	304	0,0040
									გოგირდწყალბადი	333	0,0040
									მეთანი	410	0,3439
									ფენოლი	1071	0,0015
									ფორმალდეჰიდი	1325	0,0017
									ეთილმერკაპტანი	1728	0,000002
	გ-6	არაორგანიზებული	1	506	ლამის გამწვანებული საშრობი მოედნები	1	24	8760	აზოტის დიოქსიდი	301	0,0012
									ამიაკი	303	0,0801
									აზოტის ოქსიდი	304	0,0222
									გოგირდწყალბადი	333	0,0065
									მეთანი	410	0,3559
									ფენოლი	1071	0,0082
									ფორმალდეჰიდი	1325	0,0056
ეთილმერკაპტანი	1728	0,0000047									

ცხრილი 6.2. მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების დახასიათება

მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს ნომერი	მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს პარამეტრები		აირჰაერმტვერნარევის პარამეტრები მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს გამოსვლის ადგილას			მავნე ნივთიერების კოდი	გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა			მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს კოორდინატები ობიექტის კოორდინატთა სისტემაში, მ					
			სიმაღლე	დიამეტრი ან კვეთის ზომა*	სიჩქარე, მ/წმ		მოცულობა, მ <sup>3</sup> /წმ	ტემპერატურა, °C	გ/მ <sup>3</sup>	გ/წმ	ტ/წ	წერტილოვანი წყაროსთვის		ხაზოვანი წყაროს	
	ერთი ბოლოსთვის													მეორე ბოლოსთვის	
	X	Y	X <sub>1</sub>	Y <sub>1</sub>	X <sub>2</sub>		Y <sub>2</sub>								
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
გ-1	2	5	-	-	29	301	-	0,0001	0,0020	-	-	-28	-20	-33	-20
						303	-	0,0004	0,0124						
						304	-	0,0001	0,0035						
						333	-	0,0008	0,0244						
						410	-	0,0556	1,7525						
						1071	-	0,00004	0,0013						
						1325	-	0,00006	0,0018						
						1728	-	0,00000005	0,000001						
გ-2	2	5	-	-	29	301	-	0,00002	0,0006	-	-	0	0	2	0
						303	-	0,0002	0,0051						
						304	-	0,00004	0,0013						
						333	-	0,0001	0,0025						
						410	-	0,0051	0,1601						
						1071	-	0,00002	0,0006						
						1325	-	0,00001	0,0004						
						1728	-	0,0000001	0,000002						

